

ნიდბალა პოლონეთის წინააღმდეგ

NIEDBALA v. POLAND

I. საქმის ფაქტობრივი მხარე

6. მომჩივანი 1994 წლის 31 აგვისტოს დააკავეს. 1994 წლის 2 სექტემბერს რიბნიკის საოლქო პროკურორმა ვ-მ გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების თაობაზე სატრანსპორტო საშუალების გატაცების ეჭვით.

7. მომჩივანმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა კატოვიცეს რაიონულ სასამართლოში. 1994 წლის 12 სექტემბერს სასამართლომ არ დააკამყოფილა აპელაცია და მიიჩნია, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადგენად, რომ მომჩივანს შეეძლო ჩაედინა ეს დანაშაული და რომ მისი დაპატიმრების მიზეზები კვლავ ძალაში იყო.

8. 1994 წლის 21 სექტემბერს რიბნიკის საოლქო პროკურორმა გააგრძელა მომჩივანის პატიმრობის ვადა 1994 წლის 30 ნოემბრამდე იმ საფუძველზე, რომ გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებები დამაჯერებლად მიუთითებდა მომჩივანის მიერ შესაბამისი დანაშაულის ჩადენაზე.

9. 1994 წლის 10 ოქტომბერს კატოვიცეს რეგიონულმა სასამართლომ არ დააკამყოფილა მომჩივანის აპელაცია ამ გადაწყვეტილების მიმართ.

10. 1994 წლის 24 ოქტომბერს რიბნიკის ოლქის პროკურორმა უარი განაცხადა მომჩივანის გათავისუფლებაზე იმ საფუძველზე, რომ გამოძიება არ იყო დამთავრებული, უნდა მოპოვებულიყო დამატებითი მტკიცებულებები და დაპატიმრების მიზეზები კვლავ ძალაში იყო.

11. 1994 წლის 2 ნოემბერს, მომჩივანმა წერილით მიმართა ომბუდსმენს, რომელშიც მიუთითა დარღვევებზე მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლისსამართლებრივ დევნაში და მასზე, რომ დაკავებისას მას პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ციხის ხელმძღვანელობამ ეს წერილი გადასცა რიბნიკის ოლქის პროკურორს. 1994 წლის 23 ნოემბერს რიბნიკის ოლქის პროკურორმა მომჩივანს შეატყობინა, რომ ომბუდსმენისადმი გაგზავნილი წერილი გადაეცა ტიჩის ოლქის პროკურორს, სავარაუდო ფიზიკური შეურაცხყოფის გამოძიების მიზნით. მოგვიანებით წერილი გადაეცა ომბუდსმენს.

12. 1994 წლის 15 ნოემბერს კატოვიცეს რეგიონის პროკურორმა არ დააკამყოფილა მომჩივანის აპელაცია 1994 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიმართ.

13. 1995 წლის 9 მარტს მომჩივანმა კატოვიცეს რეგიონულ სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა მისი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის თაობაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით. ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

14. 1995 წლის 20 მარტს კატოვიცეს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო ქურდობის გზით მოპოვებული ნივთების ფლობაში და გასცა ბრძანება მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.

15. 1995 წლის 21 აპრილს მომჩივანი კვლავ დააკავეს და რაჩიბუშის ოლქის პროკურორმა გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების თაობაზე 1995 წლის 20 აპრილს სატრანსპორტო საშუალების გატაცების მცდელობაში ეჭვის საფუძველზე. მომჩივანმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა რაჩიბუშის საოლქო სასამართლოში, *inter alia*, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. 1995 წლის 27 აპრილს, სასამართლომ აპელაცია არ დააკამყოფილა იმ საფუძველზე, რომ დადგენილება დაპატიმრების შესახებ გამოტანილ იქნა კანონის შესაბამისად. სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 210-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ სწორედ პროკურორს გააჩნია დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

17. 1995 წლის 5 სექტემბერს კატოვიცეს სააპელაციო სასამართლომ შეცვალა გასაჩივრებული 1995 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება იმ მხრივ, რომ მან ცნო მოძივანი დამნაშავედ ქურდობის გზით მოპოვებული ნივთების გასაღებაში ხელშეწყობასა და წაქეზებაში და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა ორი წლისა და ექვსი თვის ვადით და ჯარიმის გადახდა.

II. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

a. აღკვეთის ღონისძიებები სისხლისსამართლებრივ წარმოებაში

18. აღწერილი მოვლენების დროს დებულებები პატიმრობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მოიპოვებოდა პოლონეთის 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე და 212-ე მუხლებში, რომლებიც ასე იკითხებოდა:

მუხლი 210

”1. აღკვეთის ღონისძიებები [ანუ დაპატიმრება, გირაოთი გათავისუფლება და საპოლიციო ზედამხედველობა] პირს ეკისრება სასამართლოს მიერ; სასამართლოში საბრალდებო დასკვნის წარდგენამდე, ბრძანებას ამის შესახებ გასცემს პროკურორი...”

მუხლი 212

”1. აღკვეთის ღონისძიებების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს [ზემდგომ სასამართლოში]

2. პროკურორის ბრძანება დაპატიმრების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელსაც გააჩნია საქმის არსებითად განხილვის კომპეტენცია....”

21. აღწერილი მოვლენების დროს, სასამართლო სხდომაზე მხარეთა დასწრება რეგულირდებოდა 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 87-ე და 88-ე მუხლებით, რომლებიც ასე იკითხებოდა:

მუხლი 87:

”სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აცხადებს ღია სხდომაზე, თუ კანონი ამას ითვალისწინებს; სხვა შემთხვევებში კი - *in camera* (დახურულ) სასამართლო სხდომაზე. ...”

მუხლი 88:

”*In camera* სასამართლო სხდომას შეიძლება ესწრებოდეს პროკურორი (...); სხვა მხარეებს შეუძლიათ დასწრება, თუ კანონი ამას ითვალისწინებს.”

b. პროკურორის სტატუსი პოლონეთის სამართალში

24. 1985 წლის 20 ივნისის პროკურატურის შესახებ კანონის პირველი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პროკურატურის ორგანოთა სტრუქტურას, ფუნქციებსა და ორგანიზაციას, აღწერილი მოვლენების დროს ასე იკითხებოდა:

”1. პროკურატურა შედგება გენერალური პროკურორის, პროკურორებისა და სამხედრო პროკურორებისგან. პროკურორები და სამხედრო პროკურორები ექვემდებარებიან გენერალურ პროკურორს.

”2. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი; მის ფუნქციებს ასრულებს იუსტიციის მინისტრი.”

კანონის მე-2 მუხლი ასე იკითხება:

“პროკურატურა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის დაცვას და განხორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.”

28. კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობისა და ყოველი მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებით.

29. კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პროკურორი დამოუკიდებელია მისი მოვალეობების შესრულებისას ამ მუხლით დადგენილ ფარგლებში. პროკურორი უნდა ასრულებდეს მისი ზემდგომი თანამდებობის პირების მიერ გაცემულ ინსტრუქციებს, მითითებებსა და ბრძანებებს.

30. კოდექსის შესაბამისი დებულებების მთლიანობაში განხილვით, პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში ასრულებდა საგამოძიებო და საბრალდებო ფუნქციებს. კერძოდ, გამოძიების დასრულების შემდეგ, ის ადგენდა საბრალდებო დასკვნას და წარმოადგენდა პროკურატურას სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა საქმე.

31. 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, “სისხლის სამართალწარმოების განმახორციელებელი ხელისუფლების ორგანოები [პროკურორის ჩათვლით] შეამოწმებენ და მხედველობაში მიიღებენ მტკიცებულებას როგორც ბრალდებულის სასარგებლოდ, ისე მის წინააღმდეგ.”

საქმის განხილვა კომისიაში

38. კომისიამ საჩივარი ნაწილობრივ მისაღებად მიიჩნია 1997 წლის 7 ივლისს. 1999 წლის 1 მარტის მოხსენებაში, მან გამოთქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას იმ მხრივ, რომ მომჩივანს თავისუფლება აღეკვეთა პროკურორის გადაწყვეტილებით, რომელიც არ წარმოადგენდა მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ პირს, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას იმ მხრივ, რომ მომჩივანის პატიმრობის განმზილველი სასამართლო პროცესი არ იყო ნამდვილად შეფხიბრებითი ხასიათის და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას იმ მხრივ, რომ მომჩივანის მიმოწერა ომბუდსმენტთან დაკავებულ და შეფერხებულ იქნა.

სამართლებრივი მხარე

I. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

39. მომჩივანის მტკიცებით, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ასე იკითხება: “...”

A. სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტები

40. მომჩივანის მტკიცებით, აღწერილი მოვლენების დროს მოქმედი პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი არ იყო არც მოსამართლე და არც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილების მქონე მოხელე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმისთვის, რომ მოხელე ჩაითვალოს სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ პირად, მან უნდა დააკმაყოფილოს თავისუფლების თვითნებური აღკვეთის გამოძირიცხავი გარკვეული პირობები, კერძოდ, ის უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და მხრეებისაგან დამოუკიდებელი. უკანასკნელი ასპექტის შესაფასებლად გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღები მოხელე არ შეიძლება ჩაითვალოს მიუკერძოებლად, თუ ის სისხლისსამართლებრივი წარმოების შემდგომ სტადიებზე შეილება მოქმედებდეს ბრალმდებელი ორგანოს სახით. მომჩივანის პატიმრობის დროს მოქმედი სამართლის მიხედვით, პროკურორს, რომელმაც პირი დააპატიმრა, მოგვიანებით თავისუფლად შეეძლო ბრალდების მხარე წარმოედგინა.

41. მომჩივანმა ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთის კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოებს გააჩნდათ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილება. პროკურორები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ გენერალურ პროკურორს, რომლის ფუნქციები ხორციელდებოდა იუსტიციის მინისტრის მიერ, მიეკუთვნებოდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. პროკურორებს ევალებოდათ მათი ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანებათა შესრულება, ხოლო ეს თანამდებობის პირები, თავის მხრივ, ექვემდებარებიან იუსტიციის მინისტრს. ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით, მთვრობის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ პროკურორები ასრულებენ სასამართლო ფუნქციებს, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

42. მომჩივანმა ასევე მიუთითა ცვლილებებზე პოლონეთის კანონმდებლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებები შეიცვალა 1995 წლის 29 ივნისის კანონით, რომელიც ითვალისწინებს, რომ წინასწარი პატიმრობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სასამართლოს ბრძანებით. 1997 წლის ივნისში ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც ასევე ითვალისწინებს, რომ დაპატიმრების შესახებ ბრძანება გამოქავს სასამართლოს. მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაპატიმრების მარეგულირებელ დებულებათა ცვლილების ფაქტი თავისთავად მიუთითებს, რომ კანონმდებელმა იცოდა კონვენციის მე-5 მუხლთან მათი შეუსაბამობის თაობაზე.

43. მომჩივანმა დაასკვნა, რომ პროკურორის მიერ დაპატიმრება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

44. მთავრობამ, პირველ როგში, დაადასტურა, რომ პოლონეთის პროკურორები აღწერილი მოვლენების დროს და ამჟამადაც ექვემდებარებიან გენერალურ პროკურორს – იუსტიციის მინისტრს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია. თუმცა ამასთან გენერალური პროკურორი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო მონაწილეობა სისხლისსამართლებრივ დევნაში, ეს უფლებამოსილება გააჩნდათ რიგით პროკურორებს, რომლებიც მოქმედებდნენ საოლქო, რეგიონულ და სააპელაციო პროკურატურებში.

45. მთავრობა ასევე ამტკიცებს, რომ, პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, პროკურორი ასრულებდა ორ მთავარ ფუნქციას: სისხლისსამართლებრივი დევნისა და საჯარო ინტერესების დაცვის. ის ვალდებული იყო, დაეცვა მიუკერძოებლობისა და კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობის პრინციპები. პროკურორს დაპატიმრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დაეკითხა ეჭვმიტანილი. მას ასევე ევალებოდა როგორც დაპატიმრების მხარდამჭერი, ისე ამის საწინააღმდეგო გარემოებების გათვალისწინება. მას ჰქონდა დაკავებულის გათავისუფლების უფლებამოსილებაც, თუ გარემოებები აღარ ამართლებდა პატიმრობის გაგრძელებას. მთავრობამ დაასკვნა, რომ პროკურორებმა, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მოსაჩივრის დაპატიმრების თაობაზე, აკმაყოფილებდნენ სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ მოთხოვნებს. მათ მიუთითეს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საქმეში - **შისერი შვეიცარიის წინააღმდეგ** (1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A

№34, გვ. 12-13, პუნქტები 27-31) და საქმეში - **პაუელის ბელგიის წინააღმდეგ** (1988 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №135, გვ. 18, პუნქტი 38).

B. სასამართლოს შეფასება

48. სასამართლო შეახსენებს მხარეებს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული მოხელის ფუნქციას წარმოადგენს დაპატიმრების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო გარემოებების გადასინჯვა და სამართლებრივ კრიტერიუმებზე მითითებით იმის გადაწყვეტა, არსებობს თუ არა დაპატიმრების გამამართლებელი მიზეზები და, თუ ამგვარი მიზეზები არ არსებობს, გასცეს ბრძანება გათავისუფლების შესახებ. იმისთვის, რომ ჩაითვალოს, რომ "მოხელე" ახორციელებს "სასამართლო ხელისუფლებას" ამ დებულების მნიშვნელობით, მან უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები, რომლებიც პირს გარანტიებს აძლევს თვითნებური ან უსაფუძვლო თავისუფლების აღკვეთის გამოსარიცხად (იხ. 1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეში - **შისერი შვეიცარიის წინააღმდეგ**, სერია A № 34, გვ. 13-14, პუნქტი 31).

49. ამრიგად, "მოხელე" დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან. ამ მხრივ, დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტური ვარაუდი არსებითი მნიშვნელობისაა: თუ ამ დროს სავარაუდოა, რომ "მოხელე" შემდგომში შეიძლება ჩაერთოს სისხლისსამართლებრივ წარმოებაში როგორც ბრალდების მხარე, მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს (იხ. 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეში - **ჭუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ**, სერია A № 188, გვ. 18, პუნქტი 43, და 1992 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში - **ბრინკატი იტალიის წინააღმდეგ**, სერია A № 249-A, გვ. 12, პუნქტი 21). "მოხელემ" უნდა მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს და განიხილოს, გამართლებულია თუ არა დაპატიმრება. თუ ეს არ არის გამართლებული, "მოხელეს" უნდა გააჩნდეს დაკავებულის გათავისუფლების შესახებ სავალდებულო ბრძანების გაცემის უფლებამოსილება (იხ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შისერის საქმეში, გვ. 13-14, პუნქტი 31, და 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეში - **ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**, სერია A №25, გვ. 75-76, პუნქტი 199).

50. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაპატიმრების სასამართლო კონტროლი ავტომატური უნდა იყოს (იხ. 1984 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეში - **დე ჟონგი, ბალჟე და ვან დენ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ**, სერია A № 77, გვ. 24, პუნქტი 51). ის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს დაკავებულის მიერ შუამდგომლობის წარდგენაზე. ამგვარი მოთხოვნა არა მხოლოდ შეცვლის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის ხასიათს, რომელიც განსხვავდება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მოყვანილი გარანტიისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას დაპატიმრების კანონიერების გადასინჯვის მიზნით (იხ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება **დე ჟონგის, ბალჟეს და ვან დენ ბრინკის** საქმეში, გვ. 25-26, პუნქტი 57). მეტიც, ამგვარ მოთხოვნას შეუძლია გააბათილოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის მიზანი, დაიცვას პირი თვითნებური დაპატიმრებისგან თავისუფლების აღკვეთის აქტის სასამართლო კონტროლისადმი დაქვემდებარების მეშვეობით (იხ., *mutatis mutandis*, 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეში - **კურტი თურქეთის წინააღმდეგ**, ანგარიში 1998-III, გვ. 1185, პუნქტი 123; **აქელინა მალტის წინააღმდეგ** [პლენარული სხდომა], № 25642/94, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს სასამართლოს ოფიციალურ ანგარიშში).

51. სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ პოლონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებას. კერძოდ, 1986 წლის 20 ივნისის მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კანონის დებულებების თანახმად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილება მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლოებს გააჩნია.

52. პროკურატურის შესახებ კანონის (იხ. ზემოთ, პუნქტი 27) დებულებები პროკურატურის სტრუქტურის, ფუნქციებისა და ორგანიზაციის თაობაზე ითვალისწინებს, რომ

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესში ხორციელდება პროკურორის მიერ. ამ მხრივ, სასამართლო მიუთითებს მთავრობის მტკიცებაზე, რომ პოლონეთის პროკურორები, აღწერილი მოვლენების დროს და ამჟამად ექვემდებარებიან გენერალურ პროკურორს, რომელიც ამავე დროს იუსტიციის მინისტრაცაა. მაშასადამე, უდავოა, რომ პროკურორები, მათი ფუნქციების განხორციელებისას, ექვემდებარებიან აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობას.

53. სასამართლოს თვალსაზრისით, მთავრობის მტკიცების მიუხედავად, რომ კანონმდებლობის თანახმად პროკურორები, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების გარდა, ასევე მოქმედებენ როგორც საჯარო ინტერესის დამცველები, არ შეიძლება მივიჩნიოთ მათთვის სასამართლო სტატუსის მიმნიჭებლად. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორები ახორციელებენ გამოძიებისა და ბრალდების ფუნქციებს და, მაშასადამე, უნდა მივიჩნიოთ, რომ საქმის დროს ძალაში მყოფი კანონმდებლობის, კერძოდ, 1969 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის III თავის დებულებების თანახმად, ისინი სისხლისსამართლებრივი პროცესის მონაწილე მხარე იყვნენ.

54. პროკურორებმა, რომლებმაც მომჩივანი დააპატიმრეს, პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე დაკითხეს ის და განიხილეს, გამართლებული იყო თუ არა მისი პატიმრობა საქმის გარემოებებში. ამისდა მიუხედავად, ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება პროკურორის კანონმდებლობით განსაზღვრულ სტატუსს, ეს არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ პროკურორები დამოუკიდებლობის ისეთ გარანტიებს იძლეოდნენ, რომლებიც აკმაყოფილებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

55. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პროკურორების მიერ 1994 წლის 2 სექტემბერს და 1995 წლის 21 აპრილს გაცემული ბრძანებები დაპატიმრების შესახებ მომჩივანის მიერ გასაჩივრების შემდეგ გადაისინჯა სასამართლოს მიერ, შესაბამისად, ათი და ექვსი დღის განმავლობაში. თუმცა გადასინჯვის ეს პროცესი არ იყო ავტომატური, ვინაიდან ის დამოკიდებული იყო მომჩივანის მიერ სასამართლოში საჩივრის შეტანაზე. აქედან გამომდინარე, ის, რომ არსებობდა მომჩივანის დაპატიმრების სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობა, არ ამართლებს იმ ხარვეზს, რომ ბრძანება დაპატიმრების შესახებ მიღებულ იქნა პროკურორების მიერ.

56. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლონეთის კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენებოდა შესაბამის დროს, არ ითვალისწინებდა რაიმე გარანტიებს იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომ იმავე პროკურორს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მომჩივანის დაპატიმრების შესახებ, შემდგომში მიეღო მონაწილეობა სისხლისსამართლებრივ დევნაში.

55. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

58. მომჩივანი ასევე მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ასე იკითხება:

“... ”

A. სასამართლოს წინაშე წარდგენილი არგუმენტები

59. მომჩივანი ამტკიცებს, რომ უდავოა, რომ ის არ წარდგა სასამართლოს წინაშე მისი დაპატიმრების გამამსინჯველ სასამართლო სხდომებზე. სასამართლოს მიერ ასენოვის საქმეში გამოყენებული პრინციპის მიხედვით (1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეში - **ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ**, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების ანგარიში 1998-VIII, გვ. 3302, პუნქტი 162), ბრალდებულს, რომლის დაპატიმრებაც ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის

ფარგლებში, უნდა ჰქონდეს უფლება დაესწროს სასამართლო სხდომას, რომელიც იხილავს მისი დაპატიმრების საპროცესო და მატერიალურ ასპექტებს.

60. მომჩივანი ასევე ამტკიცებს, რომ, აღწერილი მოვლენების დროს ძალაში მყოფი კანონმდებლობის დებულებების თანახმად, მას არა მხოლოდ არ ჰქონდა მისი დაპატიმრების გადამსინჯველ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება, არამედ მას ასევე არ ჰქონდა საშუალება გაცნობოდა პროკურორის მიერ დაპატიმრების მხარდასაჭერად სასამართლოში წარდგენილი არგუმენტებს. შესაბამისად, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი მოსაზრებები პროკურორის პოზიციის მიმართ.

61. მომჩივანმა ასევე გამოთქვა მოსაზრებები მთავრობის მტკიცებასთან მიმართებით, რომ პროკურორთა გადაწყვეტილებები მომჩივანის დაპატიმრების თაობაზე უნდა ჩაითვალოს სწორად, ვინაიდან ისინი შემდგომში მიღებულ იქნა სასამართლოების მიერ. მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მცდარი შეხედულებაა, ვინაიდან, თუ მომჩივანს ან მის წარმომადგენელს ექნებოდათ სასამართლო სხდომაზე დასწრების და სასამართლოსადმი პროკურატურის მიერ წარდგენილი არგუმენტების საპასუხო არგუმენტების წარდგენის საშუალება, არ იყო გამორიცხული, რომ სასამართლოებს, ორივე მხარის მოსმენის შემდეგ, სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოეთქათ. ვინაიდან შეიზღუდა სასამართლოს შესაძლებლობა დეტალურად შეემოწმებინა მომჩივანის პატიმრობის მართებულობა, წინამდებარე საქმეში არ ყოფილა დაცული *habeas corpus*-ის გარანტიები.

60. მთავრობა ამტკიცებს, რომ სასამართლოებს, რომლებიც იხილავდნენ მომჩივანის აპელაციებს დაპატიმრების თაობაზე გადაწყვეტილების მიმართ და მის შუამდგომლობებს გათავსუფლების შესახებ, გააჩნდათ სრული იურისდიქცია განეხილათ მისი დაპატიმრების შესაბამისობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებულ საპროცესო მოთხოვნებთან და ასევე გადაესინჯათ იმ ეჭვის საფუძვლიანობა, რამაც მისი დაპატიმრება გამოიწვია.

61. მთავრობა აღიარებს, რომ მომჩივანს არ ჰქონდა მისი დაპატიმრების კანონიერების გადამოწმების თაობაზე ჩატარებულ სასამართლო სხდომებში მონაწილეობის უფლება. უდავოდ, პროკურორს გააჩნდა ამგვარ სხდომებზე დასწრების უფლებამოსილება, მაგრამ მისი დასწრება არ იყო სავალდებულო. რაც შეეხება რაჩიბუშის საოლქო სასამართლოში 1995 წლის 27 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომას მომჩივანის პატიმრობის გადასინჯვის თაობაზე, მთავრობა ამტკიცებს, რომ არც მომჩივანი და არც პროკურორი მას არ დასწრებია. შესაბამისად, არ შეიძლება ივარაუდებოდეს, რომ ამ სასამართლო განხილვის დროს დაცული არ ყოფილა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

64. მთავრობა ასევე ამტკიცებს, რომ მომჩივანის დაპატიმრების გადასინჯვის თაობაზე ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე მისი და მისი ადვოკატის დაუსწრებლობის მიუხედავად, სასამართლომ იცოდა მომჩივანის არგუმენტები, რომლებიც მან სასამართლოს წერილობით მიაწოდა. შესაბამისად, სასამართლოებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა, დაწვრილებით განეხილათ მომჩივანის დაპატიმრების კანონიერება და დასაბუთებულობა.

65. მთავრობა ასევე აღიარებს, რომ მომჩივანის დაპატიმრების თაობაზე ჩატარებული სასამართლო პროცესი ატარებდა ნამდვილად შეჯიბრებით ხასიათს, როგორც მოითხოვება კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით.

B. სასამართლოს შეფასება

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საპროცესო და მატერიალური პირობების გადასინჯვის მოთხოვნით, რომლებიც მნიშველოვანია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, მისი თავისუფლების აღკვეთის ”კანონიერების” დასადგენად (იხ. 1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში - *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, სერია A №154-B, გვ. 34, პუნქტი 65). მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა მოიცავდეს კონვენციის მე-6

მუხლის პირველი პუნქტით სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო წარმოებისათვის გათვალისწინებულ გარანტიებს (იხ. 1992 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეში - **მეგიერი გერმანიის წინააღმდეგ**, სერია A № 237-A, გვ. 11, პუნქტი 22), მაგრამ მას უნდა ჰქონდეს სასამართლო ხასიათი და ის უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთის სახის შესაბამის გარანტიებს. იმ პირის შემთხვევაში, რომლის დაპატიმრება ექცევა მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის ფარგლებში, საჭიროა სასამართლო სხდომის ჩატარება (იხ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება **შისერის** საქმეში, გვ. 13, პუნქტები 30-31); კერძოდ, დაპატიმრების ბრძანების თაობაზე წარდგენილი აპელაციის განმხილველ სასამართლო პროცესზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს "ძალთა თანასწორობა" მხარეთა, ანუ პროკურორისა და დაპატიმრებულს შორის (იხ. გადაწყვეტილება საქმეში - **ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ** [პლენარული სხდომა], № 31195/96, 25.03.1999, პუნქტი 59).

67. სასამართლო მხედველობაში იდებს, რომ წინამდებარე საქმეში პროკურორთა მიერ გაცემული ბრძანებები დაპატიმრების შესახებ ორჯერ იქნა გადასინჯული სასამართლოს მიერ, პირველად - კატოვიცეს რაიონულ სასამართლოში 1994 წლის 12 სექტემბერს ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე და მეორედ - რაჩიბუშის საოლქო სასამართლოში 1995 წლის 27 აპრილს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები არ დავობენ, რომ აღწერილი მოვლენების დროს მოქმედი კანონმდებლობა მომჩივანს ან მის დამცველს არ აძლევდა სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებას. მეტიც, შესაბამისი დებულებები არ მოითხოვდა იმას, რომ პროკურორის მოსაზრებები მომჩივანის პატიმრობის მხარდასაჭერად გადასცემოდა მომჩივანს ან მის დამცველს. აქედან გამომდინარე, მომჩივანს არ ჰქონდა საშუალება, გამოეთქვა მოსაზრებები იმ არგუმენტების საწინააღმდეგოდ, რომლებსაც პროკურატურა წარადგენდა მისი დაპატიმრების მხარდასაჭერად. დაბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად, პროკურორს ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა ნებისმიერ სასამართლო სხდომას, რომლის დროსაც სასამართლო ამოწმებდა მომჩივანის დაპატიმრების კანონიერებას და რომ პროკურორი ერთხელ დაესწრო ამგვარ სხდომას.

68. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

ამ მიზეზების საფუძველზე სასამართლო:

1. ადგენს, ერთსულოვნად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას;
2. ადგენს, ერთსულოვნად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
3. ადგენს, ერთსულოვნად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
4. ადგენს, ერთსულოვნად,
 - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფო სამი თვის ვადაში ვალდებულია მომჩივანს გადაუხადოს:
 - (i) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 2,000 პოლონური ზლოტი;
 - (ii) ხარჯების ასანაზღაურებლად 10,800 პოლონური ზლოტი, ნებისმიერი დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, სამართლებრივი დახმარების სახით გადახდილი 9989 ფრანგული ფრანკის გამოკლებით, რომელიც გადაიყვანება პოლონურ ზლოტებში ამ გადაწყვეტილების გამოტანის დღეს არსებული გაცვლის კურსით;
 - (b) სამი თვის გასვლიდან თანხის გადახდამდე ის გაიზრდება წლიური 21%-ით;
5. უარყოფს, ერთსულოვნად, საჩივრის დარჩენილ ნაწილს სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე.